პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 167
(7478)

30
1983 წ.
აგვისტო
სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

იური გაგარინის მემორიალი

საქართველოს ნაკრები მეორე პრიზიორია

თბილისი. სპორტის სასახლე. 28 აგვისტო.

საქართველო (ნაკრები) — ფინეთი (ნაკრები) 110:93 (54:45).

საქართველო: კაპუსტინი (10), ბოროდაჩოვი (10), გრძელიძე (4), გურასპაული (6), ბიჭიაშვილი (6), დარსაძე (7), დერიუგინი (35), მილოვიდოვი (16), გიორგობიანი (4), ლიპარტელიანი (8), ბაღათურია (4).

ფინეთი: ხეროლდი (2), ბოლტილაინენი (9), კულონენი (13), სარედაინენი (18), კლინა (2), საალმი (5), ხეიკინენი (18), საიანტოლა (12), ლეხტონენი (4), შენტილა (6), კუსელა (4).

მსაჯები: მ. ანტონიიჩუკი (პოლონეთი) და მ. ბერნადსი (ლიეპაია).

გაგარინის მემორიალში—ამ საპრესტიჟო ტურნირში მეორე საპატიო ადგილის დაკავებისთვის საქართველოს ნაკრებს უკანასკნელი მატჩი ფინეთის ნაკრებთან აუცილებლად უნდა მოეგო. მასპინძლები წაგების შემთხვევაშიც ინარჩუნებდნენ [illegible] შანსებს, მაგრამ სხვის იმედზე დარჩენას და ყველაფრის ალალბედზე შეგდებას, თქმა არ უნდა, გამარჯვება სჯობდა.



მე-3 წუთისთვის საქართველოს ნაკრები 6 ქულას უგებდა მეტოქეს, მე-8 წუთზე 14-ს, მე-15 წუთისთვის სხვაობა 11 ქულა იყო. საბოლოოდ, პირველი ტაიმი 9 ქულის სხვაობით დასრულდა — 54:45.

თამაშის პირველი ნახევრის მიხედვით შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ საქართველოს ნაკრები იოლად მოიგებდა მატჩს. ეს შთაბეჭდილება, უნდა ითქვას, უსაფუძვლო არ იყო — მასპინძლები თამაშის ყველა სტადიაში სჯობნიდნენ მეტოქეს. ამ გარემოებამ ზედმეტი თვითდამშვიდება შეიტანა მასპინძელთა განწყობილებაში და მეორე ტაიმის მე-7 წუთზე ფინელებმა გაათანაბრეს ანგარიში — 61:61. მწვრთნელებმა დროულად მიმართეს საჭირო ღონისძიებებს —მოედანზე დაბრუნდა მილოვიდოვი, თამაშში ჩაერთო ბიჭიაშვილიც. მალე საქართველოს ნაკრები ისევ დაწინაურდა და საბოლოოდ შეხვედრაც მოიგო — 110:93.

ტურნირის დასასრულს, მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა აშშ-ს ნაკრები, გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი.

საუკეთესო ბომბარდირის პრიზი გადაეცა ნ. დერიუგინს — 132 ქულა, საჯარიმო ტყორცნების საუკეთესოდ შესრულებისთვის — პოლონელ ვ. კიეპსკის, საუკეთესო ცენტრალური თავდამსხმელის პრიზი მოიპოვა ვ. ტკაჩენკომ, თავდამსხმელისა — ამერიკელმა გ. ჰეისმა. საუკეთესო გამთამაშებლის ჯილდო გადაეცა გ. კაპუსტინს.

დაჯილდოვდნენ ტურნირის პრიზიორები და მწვრთნელები.

გაგარინის მემორიალმა გვაჩვენა, რომ თბილისის „დინამოს" სათამაშო პოტენციალი ბევრად გაიზარდა. სულ მალე სპორტის სასახლეში დაიწყება სოციალისტური ქვეყნების დინამიადა. ეს ტურნირიც ძალთა შემოწმებისა და ვარჯიშისთვის მშვენიერი საშუალებაა. ვიმედოვნებთ, რომ ყველაფერ ამის შემდეგ თბილისის „დინამო" სრული მზადყოფნით შეხვდება სსრ კავშირის ჩემპიონატს, რომელიც 25 სექტემბერს იღებს სტარტს.

ბ. ირემაძე.

• • •

სურათებზე: საქართველოს და ფინეთის ნაკრებთა მატჩი. ბურთით ი. ბოროდაჩოვი; სსრკ—აშშ-ს გუნდების შეხვედრის მომენტი; პრიზიორი გუნდების კაპიტნები—გ. ბიჭიაშვილი, ა. მიშკინი და გ. ჰეისი; გ. კაპუსტინი საუკეთესო გამთამაშებლისთვის დაწესებული პრიზით; სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. მეტრეველი საუკეთესო სნაიპერის პრიზს გადასცემს ნ. დერიუგინს.

ა. რუხაძის (საქინფორმი) და ჯ. კახრაძის ფოტოები.

გათამაშების საბოლოო ცხრილი

	მ.	წ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირი	4	0	408—331	8
საქართველო	3	1	427—418	7
აშშ	2	2	365—358	6
პოლონეთი	1	3	368—383	5
ფინეთი	0	4	335—408	4

● მხიარული ფანქრით



გ. კაპუსტინი.
ა. მიშკინი.
ბ. რასმუსენი.

შოთა შანიძის მეგობრული შარჟები.

ბრძოლა მწვავდება

კვირას დილით ვ. გოგლიძის მემორიალის გადადებული პარტიები დამთავრდა.

ე. უბილავამ ეტლების ენდშპილში ოსტატურად გამოიყენა მცირე პოზიციური უპირატესობა და მოუგო ნ. მურშედს (ბანგლადეში). გ. ზაიჩიკმა შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად ყაიმს მიაღწია ო. ფოიშორთან (რუმინეთი) უარეს პოზიციაში გადადებულ პარტიაში. ე. მნაცაკანიანმა (ერევანი) ვერ შეძლო ზედმეტი პაიკის რეალიზება ი. ადამსკისთან (პოლონეთი) და ყაიმს დასჯერდა. დაზავდნენ ლ. ოლი (ესტონეთი) — ხ. ნოგეირასი (კუბა) და გ. გიორგაძე — ს. ველიჩკოვიჩი (იუგოსლავია).

საღამოს შედგა VI ტურის შეხვედრები. ვ. გავრიკოვმა (ლიტვა) ადვილად მოიგერია მეფეზე ველიჩკოვიჩის იერიში, შეინარჩუნა მოპოვებული მატერიალური უპირატესობა და გაიმარჯვა. ჰენლი — მურშედის შეხვედრის ბედი ცაიტნოტში გადაწყდა. ბანგლადეშელმა ოსტატმა იმდენი დრო დაახარჯა იერიშს, რომ საბოლოოდ მას საათზე ალამი ჩამოუვარდა და წაგება ჩაეთვალა. ადამსკიმ კარგად ისარგებლა პოზიციური უპირატესობით და ხ. კიარნერს (ესტონეთი) მოუგო.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. ე. გუფელდი მთელი საღამო უტევდა ზაიჩიკის მეფის ფრთას და პარტია უკეთეს პოზიციაში გადადო. ძალიან საინტერესოდ და მწვავედ მიმდინარეობდა ბ. გურგენიძე — უბილავას შეხვედრა. გადადებულ პოზიციაში გურგენიძეს ლაზიერი და ორი პაიკი აქვს ორი ეტლის წინააღმდეგ. ზ. სტურუამ გადადო პარტია ოლთან ლაზიერების ენდშპილში უპაიკოდ. გიორგაძემ მოგების შანსი მიიღო მნაცაკანიანთან. მწვავე მდგომარეობაში შეწყდა ნოგეირას — ფოიშორის პარტია.

გუშინ დილით ხუთ პარტიაში განახლდა თამაში. ჰენლი დამარცხდა ზაიჩიკთან. გურგენიძემ მოუგო უბილავას. ყაიმზე შეთანხმდნენ ნოგეირას — ფოიშორი. კვლავ გადაიდო ოლ—სტურუასა და გიორგაძე — მნაცაკანიანის პარტიები.

გუშინ...

საღამოს შედგა VII ტურის პარტიები. ყაიმით დამთავრდა გავრიკოვ — ადამსკის, მურშედ — გუფელდის, უბილავა — ჰენლის, ფოიშორ — გურგენიძის შეხვედრები.

ზაიჩიკი დამარცხდა ველიჩკოვიჩთან, სტურუა — ნოგეირასთან.

გადაიდო კიარნერ — გიორგაძისა და მნაცაკანიან — ოლის პარტიები.

7 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ვ. გავრიკოვი — 5 ქულა, ბ. გურგენიძე, ე. გუფელდი — 3,5-3,5 (1-1), ს. ველიჩკოვიჩი, ი. ადამსკი, ხ. ნოგეირასი — 3,5-3,5, ზ. სტურუა — 3(2), რ. ჰენლი, ო. ფოიშორი — 3-3.

დღეს, 30 აგვისტოს გაიმართება VIII ტურის შეხვედრები.

პლანეტაზე საიმედო მშვიდობისთვის

ბერლინი, 29 აგვისტო. (საქდესის კორ.). დაახლოებით 35 ათასმა ბერლინელმა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სტუმარმა აქ გამართულ ველოსიპედისტთა „ბერლინის მშვიდობის რბოლის" წინ თავისი სურვილი გამოთქვა ყველა ღონეს მიმართოს, რათა განახორციელოს საიმედო მშვიდობა დედამიწაზე, თავიდან აარიდოს ხალხებს ბირთვული კატასტროფა. სპორტულ შეჯიბრებებში, რომლებიც წინ უსწრებდა 1 სექტემბრის მშვიდობის საერთაშორისო დღეს, მონაწილეობა მიიღეს გდრ-ის ყველა ოლქის შრომელებმა, სპორტულ საზოგადოებათა მრავალრიცხოვანმა წევრებმა, გამოჩენილმა სპორტსმენებმა, აგრეთვე უცხოელმა სტუმრებმა. სპორტული ზეიმის წინ მოწყობილი მიტინგის გახსნაზე ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, ტანმოვარჯიშე კარინ ბიუტლერ-იანცმა, გდრ-ის მშვიდობის საბჭოს აქტიურმა წევრმა, აღნიშნა სპორტსმენთა მნიშვნელოვანი ღვაწლი საერთაშორისო უშიშროების შენარჩუნების საქმეში. სპორტსმენები ენერგიულად ილაშქრებენ მშვიდობისთვის და მზად არიან საიმედოდ დაიცვან იგი. ჩვენ უარს ვეუბნებით ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვული ომის საშიშროების გეგმებს და ვეთანხმებით სსრ კავშირის მშვიდობიან ინიციატივას საყოველთაო განიარაღებისთვის, რაც მთლიანად შეეფარდება ყველა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს, — განაცხადა მან.

გასულ კვირას ბერლინში გაიმართა მრავალი შეჯიბრება, სადაც მონაწილეობდნენ მოსკოვის, სოფიის, ბუდაპეშტის, ვარშავის, პრაღისა და ბუქარესტის სპორტსმენები. სპორტული ზეიმის მშვენება იყო მრავალფეროვანი კულტურული პროგრამა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის ცნობილმა მსახიობებმა და მუსიკოსებმა.

ევროპის XV ჩემპიონატზე

JŪRMALA
16.-21.08



იურმალას დიდი საჩოგბურთო ფესტივალი

აგვისტოს მცხუნვარე მზის სხივებზე მოლივლივე დინჯ, მხარბეჭიან დაუგავაზე, შუაზე რომ ყოფს ლატვიის დედაქალაქს, ზღვიდან ანაზდად შემოფრენილი თოლიები დავლანდეთ. კარგა მოზრდილი გუნდი. რიგის მ. გორკის სახელობის ახალი უნიკალური ხიდის (მისი ავტორები ამას წინათ სახელმწიფო პრემიაზე წარადგინეს) ფოლადის სტრაფილების ფონზე ისინი მართლაც მუსიკალურ ნოტებს მოგვაგონებდა. აბა რას წარმოიდგენდნენ თეთრმკერდა ფრთაფართატები, რომ მხატვრის ფანტაზია ერთ მათგანს მოზრდილ ფრთებში ჩოგბურთის ჩოგანს დააჭერინებდა და მკვრივ ბურთზე დასარტყმელად შემართულს უთვალავი ტირაჟით დასტამბავდა აფიშებსა და პროგრამებზე, ბუკლეტებზე, მოსაწვევ ბარათებზე, სასუვენირო მისაწებებლებზე, მინის, კერამიკის, ლითონის, ტყავის ნაწარმზე, საფოსტო კონვერტებზე, ვიმპელებზე, სამკერდე ნიშნებზე... ერთი სიტყვით, ბალტიური თოლია (ლატვიურად „კაია") ევროპის XV საჩოგბურთო ჩემპიონატის პოპულარულ თილისმად იქცა...

არანაკლებ გოლიათი მდინარე ლიელუპეს (იგი სიდიდით მეორეა ლატვიაში) ყურესთან, აფრიანი ნავების ელინგის გვერდით, ჩვენმა ავტობუსმა შეუხვია მარცხნივ და ლამაზი, წითელი აგურისაგან აგებული ცხრასართულიანი შენობის წინ გაჩერდა. ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის პანსიონატმა სტუმართმოყვრულად გაუღო კარი იურმალას დიდი საჩოგბურთო კვირეულის მონაწილეებს — სპორტსმენებსა და მწვრთნელებს, მსაჯებსა და ჟურნალისტებს, ოფიციალურ პირებსა და მრავალრიცხოვან სტუმრებს.

იურმალა ლატვიურად „ზღვის სანაპიროს" ნიშნავს. იგი დღეს ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო და პოპულარული დასასვენებელი ადგილია. 30 კილომეტრზეა გადაჭიმული ბალტიის ზღვის გასწვრივ შესანიშნავი კურორტები: ლიელუპე, ბულდური, ძინტარი, მაიორი, დუბულტი, იანდუბულტი, პუმპური, მელუჟი, ასარი, ვაივარი, სლოკა, კუდრა და კემერი. მის ხშირ ფიჭვნარში მოთავსებულ 100-ზე მეტ პანსიონატში, სანატორიუმში, დასასვენებელ სახლში, კემპინგში, პიონერთა ბანაკში წლის განმავლობაში მკურნალობს და ჯანმრთელობას იკაჟებს 250 ათასზე მეტი ადამიანი. თბილი და სამო ზღვის ქვიშა, წიწვიანი არომატული ჰაერი, საუკეთესო სპორტული ბაზები, ჩოგბურთის კორტები, ფრენბურთისა და მაგიდის ჩოგბურთის მოედნები, თვალწარმტაცი 15-ათასიანი სტადიონი „იაუნიბა" („სიჭაბუკე"), მოხერხებული იახტკლუბები ზაფხულის თვეებში ერთბაშად ოთხ-ხუთჯერ ზრდის იურმალას 60-ათასიან მოსახლეობას.

1975 წელს იურმალამ უმასპინძლა დევისის თასის მატჩს სსრ კავშირისა და შვეციის ნაკრებ გუნდებს შორის. ბორგის წინააღმდეგ მაშინ ქვეყნის აღიარებული პირველი ჩოგანი — ჩვენი ალექსანდრე მეტრეველი იბრძოდა. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვით, რომ ჩოგბურთის ამ დიდოსტატთან ორთაბრძოლას სჯიდა ცნობილი ქართველი არბიტრი ო. კერესელიძე, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელთან — საკავშირო კატეგორიის მსაჯთან ა. მალაიანცთან ერთად კვლავ იყო მიწვეული იურმალაში ევროპის ჩემპიონატის მატჩების სამსაჯოდ, რასაც ორივემ საუკეთესოდ გაართვა თავი.

...იურმალას ჩოგბურთის ცენტრალური სტადიონისაკენ (იგი სპორტსაზოგადოება „დაუგავას" ეკუთვნის) ლამაზ ასფალტირებულ გზატკეცილს მივყევართ. მის ორივე მხარეს შეჯიბრების ორგანიზატორებს კონტინენტის XV ჩემპიონატის ემბლემიანი ნაირფერი დროშები გამოუკიდიათ. მართლაც მშვენიერი მოედნებია აქ (8 კორტი). მწვანე ხეებში ჩაფლულთ მათ გარშემო წითელი ფერის 10-ათასიანი ტრიბუნები ერტყმის. ტაბლოც საუკეთესო დაუმზადებიათ სახელგანთქმული საწარმოო გაერთიანება ვეფ-ის ოსტატებს — იგი სამ ენაზე „მეტყველებს" და ოპერატიულად, შეუფერხებლად გვაწვდის ინფორმაციას შეხვედრის მონაწილეების, საერთო ანგარიშის, პარტიების, გეიმების... ტემპერატურისა და დროის შესახებ.

—ასეთ კორტებზე ძალზე სასიამოვნოა თამაში და, ცხადია, მომავალი ოსტატებიც აქ სოკოებივით მომრავლდებიან — აღტაცებული ამბობს ჩემპიონატის საპატიო სტუმარი, საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის თავმჯდომარე, რესპუბლიკის კვების მრეწველობის მინისტრი რ. კონცელიძე — ალბათ ჩვენც უნდა ვიფიქროთ ჩოგნის ოსტატთა ამგვარი სამჭედლოსათვის!

მას კვერს უკრავენ იურმალაში ჩამოსული საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. მეტრეველი და რესპუბლიკის ნაკრების უფროსი მწვრთნელი, საპატიო სპორტის ოსტატი ნ. მძინარიშვილი.

— ევროპის ჩემპიონატებზე თითქმის ათი წელიწადი ვთამაშობდი, — თქვა პრეს-კონფერენციაზე ა. მეტრეველმა, — და, წარმოიდგინეთ, მუდამ ახალბედასავით ვღელავდი, რადგან ვიცოდი, ეს შეჯიბრება მარტო დაოსტატების საუკეთესო საშუალება კი არ იყო, არამედ, პირველყოვლისა, ჩოგბურთის დიდი ზეიმი, რომელშიც არ შეიძლება გაწბილებული დატოვო გულშემატკივრები. რაც შეეხება იურმალას, იგი შემთხვევით როდი აირჩიეს ევროპის XV ჩემპიონატის ჩატარების ადგილად. აქ ძალიან უყვართ და ღრმად აფასებენ საჩოგბურთო ხელოვნებას. სწორედ იურმალაში გაიმართა უკანასკნელ წლებში ისეთი დიდი შეჯიბრებები, როგორიცაა დევისის თასის გათამაშების მატჩები (მასში მე შევხვდი აღიარებულ ოსტატებს ბიორნ ბორგს, ბირგერ ანდერსონს, უვე ბენგტსონს), ხალხთა სპარტაკიადის ტურნირები, სსრ კავშირის ჩემპიონატები, ე. წ. „ვარსკვლავთა ტურნირი". მომწიფდა აზრი, რომ იურმალა გახდეს ოლიმპიური მზადების ცენტრად. სიტყვამ მოიტანა და გეტყვით, რომ ძალზე მისასალმებელია ის ფაქტორიც, რომ ჩოგბურთი კვლავ ოლიმპიურ სახეობად იქცა — იგი, როგორც ცნობილია, შეტანილია 1988 წლის სეულის XXIV ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. როგორც ევროპის სამოყვარულო ჩოგბურთის ასოციაციის წევრს, ცხადია, ძალიან მაღელვებს ამ პოპულარული თამაშის ბედ-იღბალი. ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რათა ავამაღლოთ სამოყვარულო ჩოგბურთის ავტორიტეტი. ამიერიდან უფრო საპრესტიჟო ტურნირები გავმართოთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. მით უფრო სამწუხაროა, რომ ამჯერად აქ ვერ ვიხილეთ კონტინენტის ბევრი უძლიერესი სპორტსმენი, ეროვნული ნაკრებების პირველი ნომრები.



ო. ნოზაძე.
„ლელოს" სპეც. კორ.

(დასასრული იქნება)

● ● ●

სურათებზე: ჩემპიონატის საზეიმო გახსნა — წინა პლანზე აწყვია ტურნირის მთავარი პრიზები; ასე გამოიყურებოდა „ლიელუპას" მთავარი კორტი; ს. ჩერნევა (წინა პლანზე) და ლ. სავჩენკო წყვილთა ასპარეზობის დროს.

ბ. კოლესნიკოვის,
ზ. მეჟავილსკისა და
ე. შვეშეიმერის ფოტოები.

---

18 სექტემბერი ქართული ჭიდაობის დღეა

ამბავი ჭიდაობისა „იტალიის" პარკში

გაზეთი „დროება", რომელიც ცნობილი ქართველი მოღვაწის სერგი მესხის რედაქტორობით გამოდიოდა, ხშირად აქვეყნებდა ინფორმაციებსა და წერილებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში გამართული ჭიდაობის შესახებ. ამ მხრივ არც 1883 წლის ნომრები იყო გამონაკლისი. გაზეთმა განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაუთმო ცნობილი მოჭიდავის გლდანელის გამოსვლებს თბილისში.

მკითხველისათვის, ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ როგორ აღწერდა „დროება" ამ 100 წლის წინათ თბილისში, „იტალიის" პარკში გამართულ ჭიდაობას და მასთან დაკავშირებულ ამბებს.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ „დროებამ" 1883 წლის 28 მაისის ნომერში ასეთი ინფორმაცია დაბეჭდა: „ჭიდაობის მოყვარულთა საყურადღებოდ. მიხეილ ათამალაშვილი, რომელსაც ხმა დაუგდეს გლდანელი წააქციაო, გუშინ ჩამოვიდა, ანუ სწორედ ვსთქვათ, ჩამოიყვანეს გლდანელთან ხელ-მეორედ დასაჭიდებლად. როგორც გეხსომებათ, იმის წერილიდამ, ათამალაშვილმა უარი გამოაცხადა გლდანელთან ჭიდაობაზედ ქალაქში და თუ გნებავსო, მისწერა გლდანელს ჩემ სოფელს შახ-ნაზარეთში მობრძანდი და იქ დამეჭიდევო. ეხლა მაინც ჩამოუყვანიათ და ხვალ, ორშაბათს, მოხდება მედგარი ბრძოლა. ჭიდაობა იმართება საქველ-მომქმედო მიზნით. ჭიდაობა იქნება „იტალიის" პარკში".

მეორე დღეს თბილისში ხუთი ათასამდე კაცი მიაწყდა „იტალიის" პარკს (ამჟამად, ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი). პოლიციელები და ცხენოსანი კაზაკები ძლივს იცავდნენ წესრიგს. ბილეთებს შვიდი მოლარე ჰყიდიდა.

აი, როგორ აღწერდა გაზეთი „დროება" (№ 102) ბილეთების გაყიდვას:

„— ქალბატონჯან, კნიაზჯან. ჩქარა ბილეთი, შენი სულის ჭირიმე, შემოჰყობდა რომელიმე მუაჯირიდან ფულს და ისეთი სულის სიმწარით ელოდა ბილეთს, თითქოს იმით პირ-და-პირ სამოთხეში შეუშვებდენ. ფასი ერთობ ეჭირებოდათ, მაგრამ მაინც უკანასკნელს აძლევდენ.

— ორი ბილეთი მიბოძეთ, კნიაზჯან! და შეაწვდის ორ აბაზს.

— ერთიც არ შეიძლება. უკანასკნელი ბილეთი ათი შაური ღირს, უპასუხებენ.

— კა, რა ამბავიაო! ათი შაური მამეცით, ვისაც გინდათ დამჭიდეთ... გაბრუნდება, იტარტმანებს და მაინც აძლევს ათ შაურს.

— კნეინაჯან, აი ემ ათი შაურის მეტი არა მაქვს ჩემმა მზემა! მოდი ბილეთი ექვს შაურად დამითმეთ, საწყალი ბიჭი ვარ! იღრიჭება ერთი კინტო.

— ათი შაური გქონია, ბარემ მოგვეცი სულ.

— არა, გენაცვალე, ეს ერთი აბაზიც ჩარექისთვის დამრჩეს, აქედამ რო გავიდე თქვენი სადღეგრძელო დავლიო...

კნეინას ეცინება, ექვს შაურად უთმობს ბილეთს და აბაზს თავისასა სდებს.

საკვირველი სანახავი იყო, რანაირად ეღრიჯებოდენ პატარა ყმაწვილები, რომ ბილეთი იაფად დაეთმოთ".

თვით ჭიდაობა მოკლედ არის აღწერილი: „ხალხი თითქმის ოთხი საათიდამ დალაგებულიყო და შვიდ საათამდე დიდის მოთმინებით ელოდა მოჭიდავეს. ძლივს ზურნამ საჭიდაო დაუკრა და შუა წრეში გადმოხტა ლომივით გაბრაზებული გლდანელი. მას თან გამოჰყვა ათამალაშვილი, რომელსაც გლდანელი ცეცხლივით მეედო. ჯერ ცალი ხელი მოავლო და მთლად დააფორიაქა: დაიქნია და წამოაპირქვავა. მერე თითონვე ააყენა, გამოჰკრა სარმა და ზედ ზურგზედ გაშხლართა.

ამის შემდეგ რაც მოხდებოდა, ადვილი წარმოსადგენია და ჩვენც აღარას ვიტყვით".

ამ ჭიდაობის შემოსავალი განკუთვნილი იყო ღარიბი ოჯახების დასახმარებლად. ეს კეთილშობილური მიზანი დაესახათ „კნეინა მაიკო მელიქოვს" და „კნეინა ნინო ბარათოვას".

გაზეთმა „დროებამ" (№ 107) გამოაქვეყნა სია, რომელიც მკითხველებს აცნობდა, თუ ჭიდაობის შემოსავლიდან ვის რამდენი მანეთი გადაეცა დახმარებისათვის. გაზეთი აღნიშნავდა: „ვისაც ჰსურს დარწმუნდეს, რომ აქ მოგონილი გვარები არ არის, შეუძლიან „დროების" რედაქციაში მობრძანდეს და იქ ჩანახავს როგორც აქ ჩამოთვლილთა ვინაობას, ისე მათგან ჩამოთვლილ კვიტანციებს".

„დროება" იმდენად ახლოს იყო მოჭიდავეებთან, რომ ხშირად სწორედ გაზეთის მეშვეობით იწვევდნენ ერთმანეთს ფალავნები. ასე მოხდა მაშინაც, როცა ჩიტო კალატოზიშვილმა გლდანელთან ჭიდაობა მოინდომა.

საინტერესოა კალატოზიშვილის წერილის ტექსტი, რომელიც ამ 100 წლის წინათ გაზეთ „დროებაში" (№ 129) გამოქვეყნდა:

„წერილი რედაქტორთან"

ბ. რედაქტორო!

დიდი ხანია რაც გლდანელმა თავის ჭიდაობით მიიქცია ყურადღება, როგორც მოჭიდავეებისა, აგრეთვე მაცქერლებისა და მსმენელებისაც. ამ ბოლო დროს კიდეც ჩაწყინა თავი გაგებულ ხალხს. ამ გვარმა ხმებმა აღძრეს ჩემში, როგორც ძველ მოჭიდავეში, სურვილი მის ღონის და ხერხების გამოცდისა, ამიტომ მე, 44 წლის კაცი, გთხოვთ გამოუცხადოთ გლდანელს, რომ მე, ჩიტო კალატოზიშვილს, მსურს მასთან ჭიდაობა შემდეგის პირობით: ჭიდაობის ცქერა ხალხისთვის უფასო იყოს, როგორც ყოფილა ძველ დროს. უკეთუ ისურვებს ფასის აღებას, აღებული ფული მოხმარდეს რომელსამე სასწავლებელს. ადგილი ჭიდაობისა იყოს ან გორი, და ან სურამი, რადგანაც თბილისში მის მომხრენი აჩაგრინებენ მოწინააღმდეგეს.

უკეთუ ამ პირობაზედ თანახმა არის, დამინიშნოს ამ მოკლე ხანში დრო თქვენის გაზეთისვე შემწეობით.

ჩიტო კალატოზიშვილი.
1-ს კათათვის".

ამავე წელს გაზეთ „დროების" ფურცლებზე გამოქვეყნდა გლდანელის წერილი მ. ათამალაშვილის მიმართ. საინტერესოა, რომ ამ წერილში სახელგანთქმული მოჭიდავე აღნიშნავდა: „მე ჩემს დღეში ჭიდაობას ფულის მოსაგებ ხელობად არ გავიხდი". წერილზე ასეთი ხელის მოწერა იყო: „ივანე ყირიმელი (გლდანელი)", გაზეთში დაიბეჭდა აგრეთვე მიხეილ ათამალაშვილის წერილი გლდანელისადმი.

ერთი სიტყვით, გაზეთი „დროება" დიდ ყურადღებას უთმობდა ჭიდაობას, მოჭიდავეთა თავისუფალი შეჯიბრებანი იყო და უყურადღებოდ არ ტოვებდა არც ერთ შეხვედრას. 1883 წელს „დროებაში" გამოქვეყნებული მრავალრიცხოვანი წერილები და ინფორმაციები კიდევ ერთხელ შეგვახსენებენ, რაოდენ მდიდარი ტრადიციები აქვს ქართულ ჭიდაობას და რა დიდი სიყვარულით, გულისხმიერებით და სითბოთი ეპყრობოდა სპორტის ამ სახეობას მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემელი.

ლ. კარბელაშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83

უმაღლესი ლიგა

28 აგვისტოს დაიწყო სსრ კავშირის 46-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი, 28-ე ტურის კალენდარული მატჩები. მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი არმიელები და დონეცკის „შახტიორი“. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს არმიელებმა.

გუშინ თბილისის „დინამომ“ თავის მინდორზე მიიღო ლენინგრადის „ზენიტი“.

ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს სტუმრებმა.

ქუთაისში თამაშობდნენ ადგილობრივი „ტორპედო“ და მოსკოვის „სპარტაკი“.

მატჩის შედეგია 4:0 მოსკოველთა სასარგებლოდ.

ტურის სხვა შეხვედრები:

„დინამო“ კ. — „ჩერნომორეცი“ 6:0
„მეტალისტი“ — „ნისტრუ“ 8:1
„ტორპედო“ მ. — „დნეპრი“ 3:0
„ნეფთჩი“. — „ფახთაქორი“ 2:0
„არარატი“ — „დინამო“ მ. 1:0.

ოლიმპიელთა ახალი მწვრთნელი

სსრ კავშირის სპორტკომიტეტის კოლეგიამ საბჭოთა ოლიმპიელ ფეხბურთელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელის პოსტზე დანიშნა ე. მალოფეევი და გაათავისუფლა იგი მინსკის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელის თანამდებობიდან.

საქართველოს თასზე

გრძელდება საქართველოს თასის გათამაშება ფეხბურთში, ამ დღეებში გაიმართა მერვედფინალური მატჩები: „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 4:2, „არაგვი“ (ჟინვალი) —„დინამო“ (ზუგდიდი) 3:1, „საპოვნელა“ (თერჯოლა) — „არმაზი“ (მცხეთა) 2:1, „თორი“ (ბორჯომი) —„იბერია“ (ხაშური) 1:0, „სამგურალი“ (წყალტუბო) —„ავტომობილისტი“ (თბილისი) 5:2, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 3:0.

გაოცებას იწვევს ის ამბავი, რომ ესოდენ მნიშვნელოვან რესპუბლიკურ გათამაშებაში მონაწილეობას თავი აარიდეს საქართველოს ჩემპიონატის I ჯგუფის გუნდებმა თბილისის „შევარდენმა“ და ვანის „სულორმა“. ვანის „სულორის“ ფეხბურთელები სათამაშოდ არ ჩავიდნენ დმანისში, ხოლო თბილისის „შევარდენმა“ საკუთარ მინდორზე არ ითამაშა ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევო ინსტიტუტის გუნდთან. ამ მეტად სერიოზულ დარღვევებზე აუცილებლად უნდა იმსჯელონ „შევარდენისა“ და „სულორის“ მესვეურებმა და სათანადო ზომებსაც მიმართონ.

საქართველოს თასის მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი — „სამეგრელო“, „საპოვნელა“ — „არაგვი“, „მაშავერა“ — „თორი“ (ეს გუნდები ითამაშებენ 31 აგვისტოს) და „სამგურალი“ — რუსთავის „მეტალურგი“ (ეს შეხვედრა გაიმართება 1 სექტემბერს).

I ლიგა

„გურიის“ წარმატება

27 აგვისტოს ლანჩხუთში გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მეტად საინტერესო მატჩი ადგილობრივ „გურიასა“ და ვოლგოგრადის „როტორს“ შორის.

შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე გუნდისთვის. „გურიამ“ ბოლო ხანებში საგრძნობლად გამოასწორა თავისი სატურნირო მდგომარეობა, მაგრამ ამ ეტაპზე მას მაინც სჭირდება რამდენიმე ქულის აღება, რათა საბოლოოდ განიმტკიცოს ადგილი I ლიგის ცხრილის შუაგულში, მისი მეტოქე ამ ტურში იყო გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი — ვოლგოგრადის „როტორი“, რომელიც წლეულს დიდი წარმატებით თამაშობს და რეალური შანსი აქვს მოიპოვოს უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი საგზური.

მატჩს დაესწრო ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი, საკავშირო კატეგორიის საპატიო მსაჯი, **ლ. ჟორდანია,** რომელმაც თავისი შთაბეჭდილებები გაგვიზიარა თამაშის შესახებ:

— ლანჩხუთის „გურიისა“ და ვოლგოგრადის „როტორის“ შეხვედრა მიმდინარეობდა გადაუღებელი წვიმის ქვეშ, სათამაშო მინდორი გუბეებით დაიფარა, მაგრამ ბრძოლის საერთო დაძაბულობაზე ამას არ უმოქმედია. მეტოქეებმა მთელი თავიანთი შესაძლებლობანი გამოავლინეს წარმატების მისაღწევად.

პირველი 10-15 წუთის განმავლობაში რამდენადმე შესამჩნევი უპირატესობა არც ერთ მხარეს არა ჰქონია. მაგრამ ტაიმის დასასრულს ლანჩხუთელებმა მოუმატეს ტემპს, რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს „როტორის“ კართან. 43-ე წუთზე სტუმრების საჯარიმო მოედანზე წრაფად შეიჭრა აკოფიანი, მაგრამ მასთან ბრძოლისას ვოლგოგრადელთა მცველმა ნიკიტინმა გამოუვალ მდგომარეობაში დაარღვია წესი. დაინიშნა 11-მეტრიანი. მასპინძლებმა პენალტის შესრულება მიანდეს ციპლეს, მან კი სუსტად დაარტყა და „როტორის“ მეკარემ ლინჩენკომ მოასწრო ბურთის მოგერიება. მართალია, ამ მომენტში ყველას დაასწრო აკოფიანმა, მაგრამ მისი ხელმეორე დარტყმა ასცდა კარს.

ტაიმის დამთავრებამდე სულ ორიოდე წუთი იყო დარჩენილი და სტუმრებმა ამ მცირე დროის განმავლობაში რამდენიმე მეტად საშიში შეტევა განავითარეს.

შესვენების შემდეგ ლანჩხუთელებმა ახალი ენერგიით შეუტიეს, ვოლგოგრადელთა მცველები საკმაო ხანს სრული დატვირთვით იბრძოდნენ, მაგრამ 58-ე წუთზე ჩხაიძემ დაახლოებით 25 მეტრის მანძილიდან ძლიერად დაარტყა საჯარიმო, „როტორის“ მეკარემ ვერ მოასწრო ნახტომი და ბურთი ბადეში აღმოჩნდა — 1:0.

დარჩენილ დროში ორივე გუნდი ენერგიულად იბრძოდა. ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა მატჩის ბოლომდე კარგად ითამაშეს და შეინარჩუნეს კიდეც ეს მეტად საჭირო გამარჯვება. მათ, უდავოდ, კარგი შთაბეჭდილება დატოვეს მაყურებლებზე, ვფიქრობ, გუნდი შეძლებს წლევანდელ სეზონში დასახული ამოცანის განხორციელებას.

გუნდების შემადგენლობანი: **„გურია“**: იმნაძე, გილიგაშვილი, ცნობილაძე, ხურცილავა (სულაბერიძე), სომხიშვილი, სანიკიძე, ვერულაშვილი, ციპლე (კიკნაძე), ჩხაიძე, ფრიდონიშვილი, აკოფიანი; **„როტორი“**: ლინჩენკო, მოზჟუხინი, ნიკიტინი, მალუხინი, ვასიაევი, ჩუპინი (საპელნიკოვი), გუზენკო, ვანინი (პანტელეევი), დივაკი (ივაშჩენკო), სუროვიკინი, ბერსენევი. მსაჯი — ა. მაიაცკი (ჩერკასი). მატჩის საუკეთესო მოთამაშეთა პრიზები მიიღეს ა. ნიკიტინმა და თ. ჩხაიძემ.

ტურის სხვა მატჩები ასეთი შედეგებით დამთავრდა: „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „დნეპრი“ (მოგილიოვი) 3:1, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „ისკრა“ (სმოლენსკი) 0:4, „ფაკელი“ (ვორონეჟი) —„დაუგავა“ (რიგა) 2:1, „დინამო“ (კიროვი) — ასკ-„კარპატი“ (ლვოვი) 1:1, „კუზბასი“ (კემეროვო) —„ყუბანი“ (კრასნოდარი) 0:0, ასკ (ხაბაროვსკი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 2:2, „ქაირათი“ (ალმა-ათა) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 3:1, ასკ (დონის როსტოვი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 2:1, „პამირი“ (დუშანბე) — „ზვეზდა“ (ჯიზაკი) 2:1.

ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83

ინტერვიუ მატჩის შემდეგ

„თავს არ დავზოგავთ“

გაგარინის მემორიალის უკანასკნელი მატჩი: აშშ — სსრ კავშირი ჩვენი ქვეყნის ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა. სანამ შეჯიბრების ორგანიზატორები გუნდების დასაჯილდოებლად ემზადებოდნენ, პაუზით ვისარგებლეთ და საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროს მწვრთნელს გამოველაპარაკეთ:

— ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მსჯთა გადაწყვეტილებებით უკმაყოფილო იყავით!..

— არა, რას ამბობთ, ჩვენმა ახალგაზრდა კალათბურთელებმა გამომიყვანეს წონასწორობიდან. კაზანსკის, კარაპიკასს, იაკობსონს ჯერ კიდევ არ ყოფნით გამოცდილება... ისე კი, სიფიცხე ჩემი ერთ-ერთი თვისებაა, შეიძლება ნაკლიც, რას იზამ...

— რა შეფასებას აძლევთ თქვენს გუნდს?

— მატჩების მთელმა სიმძიმემ ვეტერანების ზურგზე გადაიარა, შედარებით ძლიერი მეტოქეები რომ შეგვხვედროდნენ, ალბათ პირველ ადგილს ვერ მოვიპოვებდით! მინდა მივულოცო ლევან მოსეშვილს, თბილისის „დინამოს“ თითოეულ წევრს, მათ გულშემატკივრებს, მოპოვებული მეორე ადგილი და ის წინსვლა, რაც თბილისელთა თამაშში შეიმჩნევა. ვფიქრობ, სასაყვედურო არაფერი უნდა ჰქონდეთ გულშემატკივრებს თავიანთი კალათბურთელების მიმართ, მათ ხომ უმოკლეს დროში შეუძლებელი შეძლეს. „დინამო“, მატჩიდან მატჩამდე აუმჯობესებდა თამაშს. დარწმუნებული ვარ, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატშიც წარმატებით იასპარეზებს. ჩინებულ ფორმაშია დერიუგინი, მომეწონა ბოროდაჩოვი, აღარაფერს ვამბობ კაპუსტინზე, რომელიც ნაკრების რეალური კანდიდატია.

— რას იტყვით ტურნირის შესახებ?

— კარგი ტურნირი იყო. სასარგებლო!

დაჯილდოების შემდეგ ნიკოლოზ დერიუგინმა თქვა, ხვალ ნაკრებთან ერთად მოსკოვში მივფრინავო.

— კმაყოფილი ხართ საკუთარი თამაშით?

— მთავარია, რომ გომელსკი იყოს კმაყოფილი — ეღიმება დერიუგინს...

— რას ფიქრობთ მოახლოებულ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე?

— ბოლოს და ბოლოს საშუალება მოგვეცა გავახაროთ ჩვენი გულშემატკივრები, თავს არ დავზოგავთ და ვფიქრობთ, სასურველ შედეგსაც მივაღწევთ.

თ. ჭეიშვილი.

• • •



სურათზე: წუთშესვენებას იყენებს სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი ა. გომელსკი.

ჯ. კახრაძის ფოტო.

ჩემპიონის გამარჯვება

გუშინწინ ქუთაისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა მორიგი შეხვედრა სსრ კავშირის პირველობაზე რეგბიში. ადგილობრივი „სახლმშენი“ მასპინძლობდა შარშანდელ ჩემპიონს მოსკოვის „სლავას“. მატჩი მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო და უკვე მე-8 წუთზე მოსკოველებმა შერკინების დროს წესი დაარღვიეს და დაჯარიმდნენ. კარის აღების შესაძლებლობა ზუსტად გამოიყენა ნაჭყებიამ. 23-ე წუთზე მასპინძლები უხეშად შეცდნენ და ა. ბერზინმა აიღო ქუთაისელთა „ქალაქი“. პირველი ტაიმი დამთავრდა სტუმართა გამარჯვებით — 6:3.

შესვენების შემდეგ კარგად გავიდა გარღვევაზე შვანგირაძე, გადააწოდა ბურთი ხარშილაძეს და ამ უკანასკნელმა აიღო სტუმართა „ქალაქი“. მე-60 წუთზე ქუთაისელები დაჯარიმდნენ და ანგარიში გათანაბრდა — 9:9 ამის შემდეგ სტუმართა უპირატესობა აშკარა იყო და მათ გაიმარჯვეს კიდეც — 19:9.

ლ. ფაჩუაშვილი.

● რეგბი

პრიზები ქართველ რეგბისტებს

ქ. კოლპინოში (ლენინგრადის ოლქი) ჩატარდა იუნიორ-რეგბისტთა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი. რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის „სლავა“, ლენინგრადის „პრიმორეცი“, შაულიაის „ვაირასი“, ტირასპოლის „ელექტრომაში“, ტაგანროგის „რადუგა“, კოლპინოს „იჟორეცი“, კიევის „სპუტნიკი“, კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაჟსტროი“, აგრეთვე ზელინოგრადისა და თბილისის ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტული სკოლის გუნდები. ისინი დაყოფილნი იყვნენ ორ ქვეჯგუფად.

შესანიშნავად იასპარეზეს თბილისელმა რეგბისტებმა (მწვრთნელები ვ. კევლიშვილი, გ. ლებანიძე, მ. კოროშინაძე). მათ დაამარცხეს „ვაირასი“ 23:0, „ექსკავატორტიაჟსტროი“ 42:3 და „პრიმორეცი“ 36:0. მხოლოდ თანაბარ დაძაბულ ბრძოლაში დათმეს შეხვედრა მოსკოვის „სლავასთან“ 0:3. დაიკავეს ქვეჯგუფში II ადგილი და ჩემპიონატის დასკვნით მატჩში III ადგილისათვის შეხვდნენ მასპინძლებს — ადგილობრივ „იჟორეცს“. თავიდან დაწინაურდნენ მასპინძლები — 6:0, მაგრამ ქართველმა რეგბისტებმა გამოავლინეს ხასიათის სიმტკიცე, გამარჯვებისადმი სწრაფვა, გაიმარჯვეს ამ მეტად ძნელ, საპასუხისმგებლო მატჩში ანგარიშით 10:6 და დამსახურებულად მოიპოვეს ბრინჯაოს მედლები. ჩემპიონი გახდა ზელინოგრადის გუნდი, რომელმაც ფინალში დაამარცხა „სლავა“ — 7:4.

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ჩვენმა გუნდმა მთელი ტურნირის მანძილზე აჩვენა ლამაზი, კომბინაციური, შემტევი თამაში, რითაც მაყურებელთა და სპეციალისტთა სიმპათია დაიმსახურა.

ჩემპიონატზე დაწესებული იყო სხვადასხვა პრიზი, რომელთა უმრავლესობა მოიპოვეს ჩვენი გუნდის წევრებმა. საუკეთესო მოთამაშეებად აღიარეს ბ. გოგუაძე და ი. ქერაული, რომელიც დაასახელეს ჩემპიონატის საუკეთესო ნახევარმცველადაც. ს. თაქთაქიშვილმა კი მოიპოვა ბომბარდირის პრიზი. ეს რეგბისტები საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრები გუნდის კანდიდატებიც არიან.

ჩემპიონატმა გვიჩვენა, რომ ქართულ რეგბის ეზრდება პერსპექტიული, იმედისმომცემი თაობა. დავულოცოთ მათ გზა და ვუსურვოთ მომავალშიც წარმატებით დაეცვათ ჩვენი რესპუბლიკის ღირსება.

გ. ლებანიძე,
შეჯიბრების მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი რეგბიში.

• • •

სურათზე: საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, თბილისის ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტული სკოლის იუნიორ რეგბისტთა გუნდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჭადრაკი

ნანა ალექსანდრიას დიდი წარმატება

რუმინეთის ქალაქ ბეილე-ჰერკულანში გაიმართა ქალთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალისტი, ქართველი დიდოსტატი ნანა ალექსანდრიაც მონაწილეობდა.

შეჯიბრებაში 14 მოჭადრაკე ჩაება: 4 დიდოსტატი (რუმინელები ე. პოლიქრონიადე, მ. პოგორევიჩი, პოლონელი ხ. ერენსკა და ნანა), 6 საერთაშორისო ოსტატი, 3 ფიდე-ს ოსტატი და ერთი ეროვნული ოსტატი. მათი საშუალო რეიტინგი 2135 იყო. ამან კი განაპირობა ტურნირის საკმაოდ მაღალი, XII კატეგორია, საერთაშორისო დიდოსტატის ნორმად დაწესდა 9,5 ქულა, საერთაშორისო ოსტატის — 7.

ალექსანდრიამ თავიდანვე ხელთ იგდო ლიდერობა და ისე ძალუმად მიიწევდა წინ, რომ კონკურენცია ვერავინ გაუწია. ქართველმა მოჭადრაკემ დაამარცხა დიდოსტატები პოლიქრონიადე, ერენსკა, საერთაშორისო ოსტატები ი. გლაზი (ისრაელი), დ. ნუცუ, ლ. ჟიკმანი (ორივე — რუმინეთი), მ. ვიზე (პოლონეთი), ა. ვაგნერი (გდრ), ოსტატები ი. კანტორ-კირიკუცა, ს. ბოიკუ, ე. გინდა (ყველა—რუმინეთი), დაუზავდა დიდოსტატ მ. პოგორევიჩს, საერთაშორისო ოსტატ გ. ფიშდიკს (გფრ), ოსტატ გ. ოლარაშუს (რუმინეთი) და დიდი უპირატესობით გაიმარჯვა (სამი ქულით გაასწრო უახლოეს მეტოქეს).

აი, საბოლოო შედეგები: I. ალექსანდრია — 11,5 ქულა, II. ფიშდიკი — 8,5, III-IV. პოლიქრონიადე, ნუცუ — 7,5-7,5. შემდეგ მოდიან ერენსკა, გინდა, კანტორ-კირიკუცა — 7-7, პოგორევიჩი, გლაზი — 5,5-5,5, ბოიკუ, ვაგნერი, ვიზე — 5-5, ოლარაშუ, ჟიკმანი — 4,5-4,5.

გამარჯვება ბრესტში

ბრესტში დამთავრდა „უროჟაის“ ცენტრალური საბჭოს მოჭადრაკე ქალთა პირველობა, რომელშიც ქუთაისელი მოსწავლე, ოსტატობის კანდიდატი ჰენრიეტა ლაგვილავა (მწვრთნელი ა. რაზოვსკი) მონაწილეობდა.

ახალგაზრდა მოჭადრაკემ შესანიშნავად იასპარეზა: 10,5 ქულით (13-დან) მოიპოვა I ადგილი და სსრ კავშირის ქალთა 43-ე ჩემპიონატის ნახევარფინალის საგზური. მან ქულით გაუსწრო ტალინელ ოსტატ ტ. ფომინას.

ჰ. ლაგვილავა ჭადრაკის ოსტატობას ეუფლება ქუთაისის განათლების განყოფილების ბავშვთა კომპლექსურ სკოლაში. იგი „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს ორგზის ჩემპიონია 20-წლამდე გოგონებს შორის.

თ. ხარლამიძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

● ჩოგბურთი

პოლონეთის ღია ჩემპიონატში ქ. კატოვიცეში, მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ჩოგბურთელებმაც. ერთეულთა შეჯიბრებაში თბილისელმა ვ. ხურდამ III ადგილი დაიკავა, გამარჯვება კი გდრ-ის ჩემპიონმა თ. ემრიხმა, რომელმაც ფინალში მოუგო ვ. როგოვსკის (პოლონეთი). ქალთა შორის უძლიერესი იყო ჩეხოსლოვაკიელი ჰ. მახაჩკოვა. თბილისელმა ირინე მალაციძემ მესამე ადგილი დაიკავა.

● ცურვა

იტალიის დედაქალაქში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში.

ოლიმპიადა-80-ის სამგზის ჩემპიონმა ლენინგრადელმა ვ. სალნიკოვმა გაიმარჯვა 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — — 15.08,84. საბჭოთა სპორტსმენთა გამარჯვებით დამთავრდა 4X100 მეტრზე კომბინირებული ცურვა. ჩვენი ნაკრები (ვ. შემეტოვი, რ. ჟულპა, ა. მარკოვსკი, ს. სმირიაგინი) უძლიერესი იყო—3.43,99.

● ველოსპორტი

ციურიხში ველოსიპედისტთა მსოფლიო პირველობაზე გამოდევნებით ჯგუფურ რბოლაში ოქროს მედალი მოიპოვა გფრ-ის „კვარტეტმა“ (რ. ჰოლცი, რ. გიუნტერი, მ. მარქსი, გ. სტრიტნატერი). მეორე ადგილზე არიან გდრ-ის წარმომადგენლები, მესამეზე — ჩეხოსლოვაკიელები. წარუმატებლად გამოვიდნენ ამ სახეობაში მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონები, საბჭოთა ველომრბოლელები, რომლებიც ნახევარფინალშიც კი ვერ მოხვდნენ. საბჭოთა ნაკრების დებიუტანტმა 26 წლის ი. რომანოვმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა 150 წრეზე ჯგუფურ რბოლაში. ჩემპიონი გახდა დანიელი მ. მარკუსონი. მეორე ადგილზე გავიდა ჰ. ი. პოლი (გდრ).

ამრიგად, საბჭოთა მრბოლელებმა 2 ოქროს, 1 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

პანორამა

● კალათბურთი

ესპანეთის ქალაქ პალმა-დე-მალიორკაში დამთავრდა იუნიორ კალათბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი. სსრ კავშირის ჭაბუკებმა ფინალში წააგეს აშშ-ს გუნდთან 72:82 (51:49). საბჭოთა ნაკრებიდან ყველაზე შედეგიანი იყო საბონისი, რომელმაც გუნდს 31 ქულა მოუტანა. ამერიკელი კალათბურთელები ზედიზედ მეორედ გახდნენ მსოფლიო პირველობის უმაღლესი ჯილდოს მფლობელები. ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს ბრაზილიელებმა, რომლებმაც დაამარცხეს ესპანეთის გუნდი — 71:66.

● შაში

პოლონეთის ქალაქ სანდომირში მიმდინარეობს ქალთა მსოფლიო პირველობა ასუჯრიან შაშში.

ტურნირში მონაწილეობენ მსოფლიო ჩემპიონი ელენა ალტშული, მსოფლიო ექსჩემპიონი ო. ლევინა, ზ. სადოვსკაია, ჟ. სალაუსკაიტე (ყველა — სსრ კავშირი), ლენკა ფუდაკოვა (ჩეხოსლოვაკია), ანა და დანუტა დემბსკა, ბ. სტოლიარჩიკი, რ. კავჩინსკა (ყველა — პოლონეთი), მიკო ხეიტმეიერი, კარენ ვან ლიტი და ლენია ტონენ-გერტსი (ყველა — ჰოლანდია).

4 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ ხეიტმეიერი და სალაუსკაიტე — 3,5-3,5 ქულა. ალტშულს, ლევინასა და კავჩინსკას 3-3 ქულა აქვთ.

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 1 სექტემბერს.

ცხოვრება ვიქტორ გოგლიძისა

4. შემოქმედებითი სიმწიფე

ის უდიდესი პატივი, რაც ვიქტორ გოგლიძეს ხვდა ოსტატის წოდების მოპოვებით, მას ძალიან ბევრს ავალებდა. ისიც უშურველად, თავგამოდებით მიისწრაფოდა ახალი წარმატებებისაკენ.

1930 წლის შემოდგომაზე ვიქტორ გოგლიძემ მონაწილეობა მიიღო ამიერკავკასიის რესპუბლიკების, უკრაინისა და უზბეკეთის ოსტატთა ორწრიან ტურნირში, სადაც მეტოქეებად ვ. ნენაროკოვი (თბილისი), ვ. რაუზერი (კიევი), მ. მაკოგონოვი (ბაქო), ა. სელეზნიოვი (დონეცკი) და ს. ფრეიმანი (ტაშკენტი) ჰყავდა. მან 5,5 ქულით II ადგილი დაიკავა, პირველი რაუზერი (6,5) იყო.

ახალგაზრდა ქართველი ოსტატი სსრ კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობაზე ოცნებობდა. 1931 წელს მან წარმატებით დაძლია შესარჩევი შეჯიბრებები. ჯერ I ადგილი დაიკავა (+10=3) ამიერკავკასიის II ჩემპიონატში, მერე I-III ადგილები გაიყო ნახევარფინალში (+5=4). ფინალში (1931 წლის ოქტომბერ-ნოემბერი, მოსკოვი) მონაწილეობდნენ ვიქტორის თანაქალაქელებიც ნ. სოროკინი და ჰ. კასპარიანი, რომლებიც მას კვალში მიჰყვებოდნენ ჩემპიონატის საგზურებისთვის ბრძოლაში. ახალგაზრდა მოჭადრაკეებმა ჩემპიონატში წარმატებას ვერ მიაღწიეს, რაც სპეციალისტებმა მათი სუსტი ფიზიკური მომზადებით ახსნეს.

ვიქტორ გოგლიძემ თბილისის ჩემპიონის სახელი 1932 წელსაც მოიპოვა; მუშაობდა მწვრთნელადაც. ამეცადინებდა ახალგაზრდა მოჭადრაკეებს, რომელთა წრეს 1930 წლიდან ხელმძღვანელობდა. მისი მოწაფეები მ. შიშოვი, ა. ფირცხალავა, ვ. ხოტელაშვილი, ვ. სერედა და სხვები შემდეგში ცნობილი მოჭადრაკეები გახდნენ. ავარჯიშებდა იგი მოჭადრაკე ქალთა ჯგუფსაც, მაგრამ მთავარ ყურადღებას თავის პრაქტიკულ გამოსვლებს აქცევდა.

1933 წელს ვიქტორ გოგლიძე კვლავ მონაწილეობს სსრ კავშირის ჩემპიონატში (აგვისტო-სექტემბერი, ლენინგრადი). მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. თამაშში ახალი ხარვეზები აღმოაჩნდა, ამიტომ იგი მეტი მონდომებით ჩაუჯდა მდიდარი კლასიკური მემკვიდრეობის ათვისებას. შედეგმაც არ დააყოვნა.

იმავე წლის შემოდგომაზე თბილისში გაიმართა ოსტატთა ორწრიანი ტურნირი, რომელშიც ვ. გოგლიძე, ნ. სოროკინი, ჰ. კასპარიანი, ა. ებრალიძე, ვ. ალატორცევი (მოსკოვი), ვ. და მ. მაკოგონოვები (ორივე — ბაქო) და ლ. სავიცკი (ლენინგრადი) გამოდიოდნენ. ფავორიტი იყო ალატორცევი, რომელმაც სსრ კავშირის 1933 წლის ჩემპიონატში II ადგილი დაიკავა მ. ბოტვინიკის შემდეგ. საბოლოოდ სწორედ მასთან გაიყო ვიქტორმა I-II ადგილები (თითოეულს 10 ქულა 14-დან), მაგრამ პირველი პრიზი მას ხვდა, რაკი სძლია ალატორცევს (1,5:0,5) მიკრო-მატჩში.

1934 წელს სსრ კავშირში საგასტროლოდ ჩამოვიდნენ მსოფლიო ჩემპიონის სახელის იმდროინდელი პრეტენდენტი მ. ეივე და მისი მწვრთნელი, ვენის ჩემპიონი, ავსტრიელი საერთაშორისო ოსტატი ჰ. კმოხი. ავსტრიელმა სტუმარმა ჯერ მონაწილეობა მიიღო ლენინგრადის ოსტატთა ტურნირში, შემდეგ კი თბილისში ახალგაზრდა საბჭოთა ოსტატთა ასპარეზობაში.

МАЭСТРО
ГАНС КМОХ
ВЕНА
МАСТЕР СССР
РОГОЗИН
ЛЕНИНГРАД

სურათზე: ჰ. კმოხი (მარცხნივ) და ვ. რაგოზინის შეხვედრა. შუაში — ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ძველი ბოლშევიკი და სახელმწიფო მოღვაწე გიორგი სტურუა.

თბილისელები დიდი ინტერესით ესწრებოდნენ მათს დედაქალაქში პირველ დიდ ტურნირს უცხოელი მოჭადრაკის მონაწილეობით. შეჯიბრებას, რომელიც სექტემბერ-ოქტომბერს გაიმართა, საქართველოს პროფსაბჭოს სვეტებიანი დარბაზი მასპინძლობდა. ჟურნალ „შახმატი ვ სსსრ“-ის ცნობით ასპარეზობას 150 ათასი კაცი დაესწრო.

ტურნირში მონაწილეობდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების, უკრაინის, ბელორუსიის და ლენინგრადის 14 მოჭადრაკე.

„თბილისში ძალიან პოპულარულია ახალგაზრდა ვიქტორ გოგლიძე. ნიჭიერი ოსტატის თამაშის საყურებლად ყოველდღიურად დიდძალი მაყურებელი მოდიოდა. როგორც კი დამთავრდებოდა გოგლიძის პარტია, დარბაზი ცარიელდებოდა“,—წერდა ჟურნალ „შახმატი ვ სსსრ“-ში მსაჯი ვ. ერემეევი.

ვიქტორ გოგლიძემ გაამართლა გულშემატკივართა იმედები: 9,5 ქულით I ადგილი დაიკავა. მან შვიდი პარტია მოიგო (მათ შორის კმოხთან), ხუთი ყაიმით დაამთავრა და ერთი (ვ. მაკოგონოვთან) წააგო. II ადგილი ხვდა ვ. მაკოგონოვს — 8. III-V ადგილები გაიყვეს კმოხმა, ვ. რაუზერმა (კიევი) და ვ. რაგოზინმა (ლენინგრადი) — 7-7.

აი, როგორ სძლია გოგლიძემ ავსტრიელ ოსტატს:



ვიქტორმა (თეთრები) გარკვეულ უპირატესობას მიაღწია, მაგრამ მოგებამდე ჯერ შორსაა. ახლა იგი b7 პაიკზე თავდასხმით იმუქრება. კმოხმა ვერ მიაგნო დაცვის საუკეთესო გზას, შეცდა და უპაიკოდ დარჩა. უპირატესობის რეალიზების ტექნიკური ნაწილი ქართველმა ოსტატმა უზადოდ ჩაატარა.

20. ...მფf8 21. მc5 მf4 22. ეe4! მfd5 (თუ 22. ...g5, მაშინ 23. g3) 23. მ×b7 მf6 24. ეe5 ეb8 25. მa5 მbd7 26. ეe2 ეb6 27. ეc2 ეa6 28. მc6 მe8 29. მe5 მ×e5 30. d×e5 მფe7 31. ეc4 c6 32. ეf4 f6 33. e×f6+ მ×f6 34. ეh4 მd5 35. ეh8 ეb6 36. ეa8 ეb7 37. g3 g5 38. მფf1 მფd6 39. ეf8 a5 40. ეf5 a4 41. კ×a4 ე×b2 42. კb3 მc3 43. ე×g5 მ×a2 44. ეg6+ მფe5 45. კ×a2 ე×a2 46. ე×g7 მფd4 47. h4 c5 48. ეd7+ მფe4 49. მფg2 c4 50. ეc7 მფd3 51. h5 c3 52. h6 c2 53. g4 ეa4 54. h7! შავები დანებდნენ.

აი, რა შეფასება მისცა ჰ. კმოხმა ჟურნალ „შახმატი ვ სსსრ“-ში (№11) ქართველი მოჭადრაკის წარმატებასა და თამაშს: „გოგლიძემ 1,5 ქულით გაასწრო უახლოეს მეტოქეს, დამსახურებულად და დამაჯერებლად გაიმარჯვა. პოზიციის ღრმა გაგება, საკუთარი ძალის რწმენა და საჭირო მომენტში პოზიციის აუცილებელი გამწვავების უნარი— ამ თვისებებით გამოირჩეოდა იგი სხვა მონაწილეებისაგან. მის თამაშში ყველაზე მეტად მომეწონა ის საოცარი სიმსუბუქე, როგორითაც მიჰყავს თავისი პარტიები. იგი არასოდეს ყოფილა ცაიტნოტში, სწრაფად და მიზანდასახულად ღებულობდა გადაწყვეტილებას, ვერასოდეს შეამჩნევდით დაღლას. ბუნებრივ ნიჭთან ერთად, მან ბრძოლის ყველა სტადიის შესანიშნავი ცოდნა გამოამჟღავნა. თუ მხედველობაში მივიღებთ მის ასაკს (25 წელი), დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იგი დღესაც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკეა“.

გაიხარა პაოლო იაშვილმაც. მან სიამოვნებით იკისრა თამადობა ტურნირის დამთავრებისადმი მიძღვნილ ბანკეტზე. ჩვეული მჭევრმეტყველებით ჰქარგავდა ყოველ სიტყვას. კმოხის სადღეგრძელო ფრანგულად წარმოთქვა, რითაც დიდად გაოცა სტუმარი. სათქმელი რომ დაამთავრა, მერე მას მაგიდის ქვეშ საგანგებოდ დამალული ტორტი (ჭადრაკის დაფა, თეთრი და ყავისფერი კრემისაგან ჩამოსხმული ფიგურები) მიართვა.

თავის კერპს — პირველ ქართველ ოსტატს კი პაოლო იაშვილმა ექსპრომტად ასეთი ლექსი უძღვნა:

შევხვდებით ერთმანეთს, ვხედავ, რომ ჩალაგდა
ყოველი პაიკი შემტეველ ფრაზებად
და „მეფე“ ბრძოლებით განწირულ ალაგთან
თანდათან შებოჭეს რკინების თასმებმა.
ვსაუბრობთ... მე ვფიქრობ: ნეტა რას ჩაწერდა,
და ვხედავ: თვალებში შუქია ნეტარი.
ვხედავ, რომ ჭადრაკის ეშმაკურ ფაცერთან
ულონოდ ლანღალობს შავების მხედარი.
გადავალთ ლექსებზე, —ჩემს შრომის მაგიდას
დღეს დარჩა ნამტვრევად დაყრილი ბწკარები.
შენ მაგარ ოსტატის სახელი გაგიტანს,
მე ჩემი ფიქრების გაშლილი კარები.

არ ვიცი, რად იყო ასეთი მარტივი
შეხვედრა, ღიმილი, შენთან რომ მოვედი,
ასეა პირველი ქართული პარტიის
და ჩემთვის — ნამდვილი ბრძოლების პოეტი.
შენ უკვე გაიგე, რა არის ძალის წინ
უეცრად შეხტომა, კაცს რომ არ აძინებს,
შენ უკვე გაიგე, მკაცრია თბილისი
და თავის არჩეულს თვალს არ მოაცილებს.
რჩეულთა ეს ბედი ხშირად დაძლეულა,
ჰო, მაგრამ სიხარულს ეს ფიქრი მოგვტაცებს,
არავის არ სძინავს ისე აბნეულად,
როგორც რომ ლექსის და ჭადრაკის ოსტატებს.

ვიქტორ გოგლიძის თვალსაჩინო გამარჯვება დიდად გახმაურდა. ამ მიღწევისთვის იგი მოსკოვის II საერთაშორისო ტურნირში მიიწვიეს, რაც ახალი საქვეყნო აღიარება იყო.

თ. გიორგაძე.

გაგრძელება. იხ. „ლელო“ №№ 162, 163, 165.

რედაქტორის მოადგილე
უ. ჯიჯინაძე.

თბილისის სპორტკომიტეტის ოლიმპიური რეზერვების ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტული სკოლა აცხადებს მიღებას კლასიკური ჭიდაობის, ძიუდოს, მშვილდოსნობისა და ძალოსნობის ჯგუფებში.

მიიღებენ 1971-73 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს კლასიკური ჭიდაობისა და ძიუდოს ჯგუფებში, 1970 წელს დაბადებულ ჭაბუკებს — ძალოსნობის ჯგუფებში, 1972-73 წლებში დაბადებულ გოგონებს და ჭაბუკებს — მშვილდოსნობის ჯგუფებში.

ყველა მსურველს საკონტროლო შემოწმების წინ უნდა ჰქონდეს ნებართვა პოლიკლინიკიდან სპორტის არჩეულ სახეობაში მეცადინეობის თაობაზე.

სკოლაში საბუთების მიღება წარმოებს მიმდინარე წლის 6 სექტემბრამდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მისამართზე: თბილისის სპორტკომიტეტის ბავშვთა და ჭაბუკთა ოლიმპიური რეზერვების სპორტული სკოლა, ორჯონიკიძის ქუჩა № 38. ტელეფონი 95-97-61.

დირექცია.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ბა- [illegible] 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 [illegible] 07748